პროფესორი, რომლის ყოველი ლექცია სტუდენტთა გულწრფელი ტაშით მთავრდება

– რას გვეტყვით თქვენი პედაგოგიური საქმიანობის შესახებ? როგორ ფიქრობთ, სწავლების თანამედროვე მეთოდები, სასწავლო გარემო – უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელი მაქვს მხედველობაში – საკმარისია მაღალკვალიფიციური ექიმის მომზადებისთვის?

– უკვე თითქმის 50 წელზე მეტია პედაგოგიურ საქმიანობას ვწევი და მუდმივად ერთ ადგილზე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ნორმალური ანატომიის კათედრაზე. ამ ხნის მანძილზე თითქმის მთლიანად, შეიძლება ითქვას, კარდინალურად შეიცვალა როგორც სასწავლო პროცესის მეთოდური და მეთოდოლოგიური მხარე, ასევე ხარისხობრივად ახალი დონეზე ავიდა თვალსაჩინოებისა თუ კომპიუტერული ვიზუალიზაციის ტექნიკა. უკვე თითქმის 40 წელია აღწერილობითი ანატომიის სწავლების ნაცვლად, ჩვენ ფუნქციური ანატომიის ვასწავლით. ამ საგნის სწავლება პროფესორმა ზურაბ კაციაძემ და მე პირველდამა დავინწყეთ პოსტკომუნისტურ სივრცეში. შესაბამისად, შევქმენით ახალი სახელმძღვანელოები და პრაქტიკული მუშაობის მეთოდური ლიტერატურა. აღსანიშნავია, რომ შედეგი პირველ წლებშივე დადებითი იყო. სადღეისოდ, ჩვენი საგნის სწავლების კურსის დამთავრების შემდეგ, სტუდენტები გაცილებით უკეთ ფლობენ ადამიანის მორფოლოგიის კანონზომიერებებსა და თავისებურებებს, ვიდრე ოცი წლის წინ. ეს კი ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია ურთულესი სამედიცინო პროფესიის ათვისების გზაზე. უნდა აღვნიშნო, რომ ექიმობა მარტო პროფესია კი არა, ცხოვრების წესია. წესი, რომელსაც მომავალი ექიმები ჩვენი უნივერსიტეტის კედლებში და მის კლინიკებში ითვისებენ, იწყებს სწავლას, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე გრძელდება. ჩვენ კი, პედაგოგები, ვცდილობთ როგორმე კარგად აუხსნათ სირთულეები და ის წინააღმდეგობები, რომლებიც მათ პრაქტიკული საქმიანობისას შეხვდებიან, უნდა ვასწავლოთ მათი დროულად დაძლევის გზები, რომელზეც ზოგჯერ თითქმის სრულად არის დამოკიდებული პაციენტის სიცოცხლე.

რაც შეეხება პირადად მე, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ორმოცდაათი წელია ვასწავლი, ყოველი ლექციის ნაკითხვას დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდები. დღესაც თითქმის ყველა ლექციის წინა ორ დღეს ამ ლექციის მომზადებას ვეთმობ. ლექცია ხომ ჩვენი სამეცნიერო მოღვაწეობის, ჩვენი კვლევითი მუშაობის ანალიზის შედეგია. უნდა გითხრა, რომ მთელი ამ წლების განმავლობაში ლექციებზე არასდროს წამიკითხავს სტუდენტთა სია, ჩემი აუდიტორია ყოველთვის სასწავლო, სტუდენტები დიდი ინტერესითა და ყურადღებით მისმენენ. ნამდვილად მიხარია, რომ ლექციის შემდეგ თითქმის ყოველთვის ტაშს უკრავენ და მაღლიერები მემშვიდობებიან მომავალ შეხვედრამდე. ასე გრძელდება უკვე ნახევარი საუკუნეა.

უნდა აღვნიშნო, რომ მოვახერხე შეგქმნა 72 ვიდეო-ლექცია. აქედან 50 უშუალოდ სტუდენტებისთვის ანატომიის ლექციებია, რომლებიც სრულად ამონურავს ჩვენი საგნის სწავლების პროგრამას, ხოლო დანარჩენი მორფოლოგიისა და კლინიკური ანატომიის სხვადასხვა საკითხებს ეხება, რომლებიც ექიმთა ფართო მასისთვის არის განკუთვნილი. ლექციები ჩემს YouTube არხზეა განთავსებული და ყველა-სათვის უსასყიდლოდ არის ხელმისაწვდომი, ხოლო გარკვეული ნაწილი ტელეარხ TV Pulsi-ს არქივშია და ეთერში პერიოდულად გადის. სადღეისოდ თითქმის 600 ათასზე მეტი ნახვა აქვს. თითქმის ყოველდღიურად ვიღებ გამოხმაურებებს არა მარტო საქართველოდან, არამედ უცხო ქვეყნის მოქალაქეებისგანაც, რომლებიც იხონებენ ჩემს ლექციებს და მთხოვენ გავაგრძელო მათი დემონსტრირება.

– ბატონო რამაზ, მე საკმაოდ ხშირი სტუდენტი ვარ მეცნიერებათა აკადემიის, არაერთხელ დაესწარებინა სამედიცინო და ბიოლოგიურ მეცნიერებათა საკოორდინაციო სამსახურს სხდომებს, რომლის მუშაობას თქვენ უძღვევით. ვთხოვთ, მოკლედ დაახასიათოთ თქვენი მოღვაწეობა ეროვნული აკადემიის ფიზიოლოგიისა და მედიცინის აკადემიკოს-მდივნის თანამდებობაზე.

– უნდა გითხრა, რომ განყოფილების მუშაობა ძალზე სპეციფიურია. ძირითადად ჩვენი აკადემიკოსები და მათთან ერთად ჩვენი ექსპერტები, რომლებიც მედიცინისა და ფიზიოლოგიის თითქმის ყველა დარგს წარმოადგენენ, კოორდინაციას უწევენ ჩვენი ქვეყნის ყველა სამედიცინო-სამეცნიერო სტრუქტურის მუშაობას, რაც მათი სამეცნიერო ანგარიშებით, ანალიზითა და შეფასებით გამოიხატება. ასევე განყოფილებასთან მუშაობს დარგობრივი სამედიცინო და ბიოლოგიურ მეცნიერებათა საკოორდინაციო სამსახური, რომლის შემადგენლობაში ჩვენი ქვეყნის ოცდაათი ცნობილი მეცნიერი და ცალკეული დარგის თუ სამეცნიერო მიმართულების ლიდერი შედის. ეს სამსახური თითქმის ყოველკვარტალურად, ხან უფრო ხშირად იკრიბება, განიხილავს სამედიცინო მეცნიერებაში და პრაქტიკაში არსებულ პრობლემებს, ამუშავებს და ქვეყნის მთავრობას ანგდის ჩვენს მოსაზრებებს რჩევების სახით, რომლებიც შემდეგ პრაქტიკაში იწერება. უნდა გითხრა, რომ ჩვენი მეცნიერული მნიშვნელოვანი წინადადება და რჩევა დაინერგა როგორც ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ, ასევე გათვალისწინებულ იქნა ისეთი მნიშვნელოვანი პროცესის მართვაში, როგორც კოვიდვირუსით გამოწვეული პანდემია იყო. მივიღეთ აქტიური მონაწილეობა ქვეყნის მეცნიერების შესახებ კანონში ცვლილებების მომზადებაში. იმედი გვაქვს, რომ მათ მალე განიხილავს ჩვენი პარლამენტი.

– საინტერესოა, თქვენ, როგორც უმაღლესი დონის პროფესიონალი, როგორ უყურებთ და აფასებთ ზოგადად სამედიცინო მეცნიერების მდგომარეობას ჩვენს ქვეყანაში? რა გამოწვევებს ხედავთ და, თქვენი აზრით, როგორ შეიძლება მათი დაძლევა?

– დიდი მადლობა კითხვებისათვის, ვეცდები მოკლედ გაცეთ პასუხი: პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან მხოლოდ ჩვენ ვართ ერთადერთი ქვეყანა, სადაც სამეცნიერო ხარისხი არ არსებობს. დოქტორის ის ხარისხი, რომელიც ჩვენთან დღეს არის – აკადემიურია და არა სამეცნიერო, ესე იგი არ გვაქვს სამეცნიერო, ხარისხი, არც სამეცნიერო ნოდლებში არის კანონმდებლობით დადასტურებული. რაც შეეხება ლექტორანტურას, ის ჩვენთან ფასიანია და მკვლევარი თვითონ იხდის კვლევებისთვის საჭირო თანხებს. ის ფაქტობრივად ყიდულობს თავის ხარისხს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ამ საკითხისადმი მიდგომის ძირეული ცვლილება – რეფორმა მეცნიერების განვითარებისთვის კი არა, მეცნიერების გადარჩენისთვის და ჩვენ ამ მიმართულებით ინტენსიურად ვმუშაობთ.

– ბატონო რამაზ, თქვენ დიდად დაფასებული პიროვნება ბრძანდებით, ხართ უცხოეთის არაერთი აკადემიის წევრი, გაქვთ საერთაშორისო ჯილდოები. ხომ არ დაგვისახელებთ კონკრეტულად?

– ტრივიალურია, მაგრამ უნდა ვთქვა, ჩემთვის მთავარი ჯილდო ჩემი სტუდენტების შეფასება და სიყვარულია, რითაც შეიძლება ითქვას, ნამდვილად განვიფრებელი ვარ. რაც შეეხება ჯილდოებს, ვარ საქართველოს სახელმწიფო და ალექსანდრე ნათიშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი, მიღებული მაქვს ალბერტ შვაიხერის ჯვარი და დიდი ოქროს ორდენი, ასევე ვარ საქართველოს ღირსების ორდენის აკადემიური და პიპოკრატის ოქროს მედლის მფლობელი, აგრეთვე ვარ უცხოეთის რამდენიმე აკადემიის წევრი, საფრანგეთის მამპან-არდენის ოლქის საპატიო მოქალაქე და სხვ.

– წარმატებებს და ჯანმრთელობას გისურვებთ!

– გამაღლობთ!

ესაუბრა ოთარ ტურაბალიძე



მამუკა მდინარაძე:

რაც უნდა დეტალური განმარტებები ვაკეთოთ კანონპროექტთან დაკავშირებით, სინამდვილეში ის არააფის აინტერესებს, კანონპროექტი მხოლოდ საბაზის სიტყვა „რუსული“ გამოსაყენებლად, ხოლო არგუმენტი არა თუ რუსულობის, ოდნავი, ობიექტური პრობლემის შესახებაც კი ვერ წარმოადგინეს! ასე დარჩა უპასუხოდ ჩემი წინა დღეების პოსტებიც და მთავარი კითხვა: როგორ შეიძლება გამჭვირვალობა იყოს არაფერობა და გამჭვირვალობა – რუსული?!

„რაც არ უნდა დეტალური განმარტებები ვაკეთოთ კანონპროექტთან დაკავშირებით, სინამდვილეში ის არააფის აინტერესებს, კანონპროექტი მხოლოდ საბაზის სიტყვა „რუსული“ გამოსაყენებლად, ხოლო არგუმენტი არა თუ რუსულობის, ოდნავი, ობიექტური პრობლემის შესახებაც კი ვერ წარმოადგინეს!“ – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი მამუკა მდინარაძე სოციალურ ქსელში წერს.

როგორც მდინარაძე აღნიშნავს, უპასუხოდ დარჩა კითხვა, როგორ შეიძლება გამჭვირვალობა რუსული იყოს.

მისივე თქმით, არსებობს მრავალი პარადოქსი, მათ შორის ის, რომ ოპონენტები, რომლებმაც რუსეთის ტერიტორიების ნაწილი ჩააბარეს, სტრატეგიული ობიექტები გადასცეს და საკუთარ ჯარისკაცებს ომის დაწყება დააბრალეს, რუსებს ეძახიან ხალხს, რომელთა მმართველობის დროს გადაიდგა ყველა ნაბიჯი ევროინტეგრაციის გზაზე.

„რაც არ უნდა დეტალური განმარტებები ვაკეთოთ კანონპროექტთან დაკავშირებით, სინამდვილეში ის არააფის აინტერესებს, კანონპროექტი მხოლოდ საბაზის სიტყვა „რუსული“ გამოსაყენებლად, ხოლო არგუმენტი არა თუ რუსულობის, ოდნავი, ობიექტური პრობლემის შესახებაც კი ვერ წარმოადგინეს!“ – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი მამუკა მდინარაძე სოციალურ ქსელში წერს.

ლის“ გამოსაყენებლად, ხოლო არგუმენტი არა თუ რუსულობის, ოდნავი, ობიექტური პრობლემის შესახებაც კი ვერ წარმოადგინეს! ასე დარჩა უპასუხოდ ჩემი წინა დღეების პოსტებიც და მთავარი კითხვა: როგორ შეიძლება გამჭვირვალობა იყოს არაფერობა და გამჭვირვალობა – რუსული?!

პარადოქსები კი სხვებზე მრავლად გვაქვს:

პარადოქსი და საზოგადოების მიმე შეურაცხყოფაა რუსეთისთვის ტერიტორიების ჩამბარებლებმა, ომის დაწყების და ომის დანაშაულის საკუთარ ჯარისკაცებზე დამბრალვებებმა, სტრატეგიული ობიექტების რუსებზე გამსხვილებებმა, რუსეთის მსოფლიო საგარეო ორგანიზაციაში განვითარების გარანტირება ადამიანებმა რუსები ეძახიან ხალხს, რომელთა მმართველობის დროს იქნა უზრუნველყოფილი წარმატების ანსლოურტურად ყველა ეტაპი ევროინტეგრაციის გზაზე, კანდიდატის სტატუსის მიღების ჩათვლით!

აქციების პარალელურად გასაჯაროვდა ხელისუფლების წარმომადგენლების პირადი ნომრები, დაიწყეს რეკვები, შეურაცხყოფილი მესიჯები (რაზეც ნაცვებივით პანიკა და ტირილი არ აგვიტყავს, ან შესაბამისად ვპასუხობდით, ან ვივინორებდით), საზოგადოებას აჩვენეს ვირობული ძალადობის მაგალითები პარლამენტშივე, იბადალეს პოლიციელებზე პარლამენტის გარეთაც, იბადალეს ურნალისტებზე და ხელი შეუშალეს მათ ურნალისტური საქმიანო-



ბის განხორციელებაში, დაიწყეს ბულინგის ფაზისტური კამპანია – როცა ამ ყველაფერმა განვითარება მათზეც პოვა, ძალადობა, ბულინგი, მუქარა მხოლოდ მაშინ გახდა ცუდი, მანამდე საამაყო საქციელი და სამშობლოსთვის ბრძოლა იყო

აქვე, ძალადობა კატეგორიულად მიუღებელია, ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ნებისმიერი სახის, ვის მიმართაც არ უნდა ხორციელდებოდეს ის! იმედი მაქვს შესაბამისი უწყებები დეტალურად გამოიძიებენ ნებისმიერ შემთხვევას და დამნაშავეებიც მკაცრად დაისჯებიან!

პარადოქსია, როდესაც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერი გამჭვირვალობის კანონპროექტზე ავრცელებს არასწორ ინფორმაციას და ამბობს, რომ ამერიკაში ის მხოლოდ სხვა სახელმწიფოების მთავრობებისგან დაფინანსებას ეხება

ამ განცხადებას თუ დავუჯერებთ, გოული ალასანია და ტელეკომპანია „ფორმულა“ მთავრობის სახელით მოქმედი პირები ყოფილან.

სინამდვილეში კი, ამერიკული „ფარა“ არა მხოლოდ სხვა მთავრობების, არამედ ნებისმიერ უცხოურ დაფინანსებას ეხება!

გამჭვირვალობის კანონს იმ ქვეყნების წარმომადგენლებიც მკაცრად აკრიტიკებენ, რომელ ქვეყნებსაც გაცილებით მკაცრი რეგულაციები ან კანონპროექტები აქვთ ამ სფეროს დასარეგულირებლად.

მეუთუე სიმბოლური და განსაკუთრებულად ცინიკური პარადოქსი – ნაცვები და ნაცვების ტელევიზიების თანამშრომლები „იმედის“ თანამშრომლების დაშლინებას ცდილობენ და მიმართავენ, არ გრცხვენიათ? სად მუშაობთ? – წერს მამუკა მდინარაძე.

თუა წულუკიანი: ეს განლაგეთ პრიმიტიული ევროპეიზმი!

„ჩვენ ვხედავთ, რომ მრავალ საფრთხეს ერთდროულად მოუყლია საქართველოსთვის და ეს საფრთხეები ყველა (!) მხრიდან მომდინარეობს. თქვენ კი ცხოვრობთ მაგნეტურ ილუზიაში და ამტკიცებთ, რომ ზოგ საფრთხეზე სახელმწიფომ თვალის უნდა დახუჭოს და ამ ელჩივით მოიქცეს. რადგან შეგვაქვებენ“, – ასე ეხმინება საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თუა წულუკიანი საფრანგეთში საქართველოს ელჩის გორა ჯავახიშვილის მიერ თანამდებობის დატოვებას.

წულუკიანის თქმით, დიპლომატი და ჯარისკაცი ერთი და იგივე პროფესიაა და ნამდვილი დიპლომატი იმ იარაღს, რომელიც მისცეს, ქვეყნის წინააღმდეგ არ ატრიალებს.

„როცა ჩემთვის პროფესიულად ახლობელ და ძვირფას ადამიანს, მით უმეტეს, ელჩის მაღალი სტატუსის მქონე პირს, არ ერიდება, საჯაროდ მომაცნოს შეურაცხყოფა (თურმე ვერ ვრევა მისი წარმდგენი ხელისუფლების – ცუდი ქალების და კაცების, ნამოქმედარის შედეგების გამო საყვედურებს ადგილსამყოფელ ქვეყანაში), არც ის უნდა ეწყინოს, თუ პასუხს ასევე საჯაროდ დაუბრუნებენ.

დაუბრუნებენ, რადგან კლავიატურა ჩვენც გვაქვს (ან კი როგორ იცლის ზოგიერთი ამდენი რახარუხისთვის, სულ პოსტის მცხოვრებლად რომ მუშაობს ნამდვილი სამსახურის პარალელურად).

პირველ რიგში, არ ვთვლი საინტერესოდ და საჭიროდ, განვიხილო, თუ როგორ მოხვდა თანამდებობაზე და რატომ.

საინტერესო ჩემთვის ისაა, რომ მას და მის მსგავსად მოაზროვნე ადამიანებს ჰგონიათ, რომ ისინი ყველაზე მეტად ევროპელები არიან, უფრო მეტიც – ისინი თავად

არიან ევროპა ან ევროპაზე ფეხმძიმედ და, რაც მთავარია, იმდენი იცხოვრეს ევროპაში („ცუდი“ მთავრობის გადანაცვლებების საფუძველზე და საკუთარი ხალხის ხარჯზე), რომ ევროპული ღირებულებების მატარებელი კი არ ვახდენენ მხოლოდ, არამედ ამ ღირებულებებმა სისხლთან ერთად დაიწყეს მათ ვენებში ჩქეფა. აჩქეფდა, ადგაფუნდა და გარდაიქცა იმ ცისფერ სითხედ, რომლის პრიმატსაც წარსულში სხვებზეც ქადაგებდნენ.

პრიმატი არ ვიცი და, ეს ბახლავთ პრიმიტიული ევროპეიზმი.

და, ნუ გვაპატივობთ ამ შეფასებას, ვინაიდან გვაქვს სისხლი წითელი. ჩვენ ხომ გლუხავი ვართ, არ გავიხილავს ჩვენი სოფლის იმით.

ეს განლაგეთ ის პრიმიტიული, რომელიც წარმომს წყურვილს, ვინმე გმირი გიწოდოს, შეგაქვს და ტაში დაგიკრას, დაგიდასტუროს, რომ ხარ. ეს წყურვილი მანგვივითაა და ისეთ კეთილშობილ ხალხსაც კი ჩაადენინებს მაგნეტობას, როგორც ეს ამ შემთხვევაში მოხდა.

ასეთი საქციელებით ვერ ხდებიან ლეგონ მიქელაძეები. აქ თვით ანალოგიაც კი მკრეხელია!

ვწუხვარ. და ვგმობ ამ საქციელს. და მრცხვენია, რომ მშრომელი, სერიოზული ადამიანი თავს უფლებას აძლევს, საკუთარი თავი ზეგზაზე უფრო დიდ ევროპულად გამოაცხადოს და საკუთარ სახელმწიფოს თითი დაუქნოს.

ფეხი რამეს არ წამოკრათ ამ ერთმანეთთან შეჭიბრსა და რბოლაში. ერთმანეთთან, რადგან მე, ჩვენ და ჩვენნიარებს შეჭიბრი, ვთვლით, რომ არ გვჭირდება. ჩვენ სხვა გამონგეგვები გვაქვს.



ჩვენ ვხედავთ, რომ მრავალ საფრთხეს ერთდროულად მოუყლია საქართველოსთვის და ეს საფრთხეები ყველა (!) მხრიდან მომდინარეობს. თქვენ კი ცხოვრობთ მაგნეტურ ილუზიაში და ამტკიცებთ, რომ ზოგ საფრთხეზე სახელმწიფომ თვალის უნდა დახუჭოს და ამ ელჩივით მოიქცეს. რადგან შეგვაქვებენ.

ეს ჩვენი არჩევანი არ არის. ჩვენი გზა უფრო რთულია. ამ რთულ გზაზე სიარული დამლელია ზოგიერთისთვის, როგორც ჩანს. ვაი მას, ვინც დაიღვინა და ვუი იმას, ვისაც დააფლავებენ, აბა, დაღლის დროა, ქვეყნის საშახურს განუდევით.

მაღლობას ვუხი ყველა იმ დიპლომატს, რომელიც ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან დგას დამოუკიდებლობის სადარაჯოზე, მათ, ვინც შემდგომ ჩაება ამ ჯაჭვს და დღემდე მედგრად შესდგომია სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრივი ღირსების აღმაგულ, რთულ გზას.

დიპლომატი და პარსიკაპი ვართ და იგივე პროფესიაა. ნამდვილი დიპლომატი იმ იარაღს, რომელიც მისცეს, ქვეყნის წინააღმდეგ არ ატრიალებს. – წერს თუა წულუკიანი სოციალურ ქსელში.

ბიორები მამაცაუბვილი: მედია-ზონდარებაზე ვნერ ახლა, სხვრის ტყავში რომ არიან განვულები და თავადვე რომ აღიარეს - ჩვენგან ყველაფერს უნდა მოელოდეთ!

რომ არ ვთქვა, არ შემოძლია. ახლა არც „გამჭვირვალობის კანონზე“ ვნერ და არც ოპოზიციის მიერ სასაქილოდ გაუღერებულ „ასიათასკაციან“ აქციებზე. ახლა, როგორც ამბობენ, არც სააკაშვილის მიერ აფეთქებული გივია თარგამაძის მანქანაზე ვნერ და არც დეგრადირებულ და უზნეო კოტე ყუბანიევილზე. არც სისხლის სამართლის დამნაშავე უგულავაზე და არც მორალურად განხრწნილ გიორგი ჯაფარიძეზე. მედია-ზონდარებაზე ვნერ ახლა, ცხვრის ტყავში რომ არიან განვულები და თავადვე რომ აღიარეს - ჩვენგან ყველაფერს უნდა მოელოდეთო.

● ფაქტია: რაც პარაკვეს პრემიერ კობახიძისთან შეხვედრისას იკადრა ზოგიერთმა მედია - წარმომადგენელმა, სირცხვილია! დეტალებს აღარ შევყვებით. მთელმა ქვეყანამ ნახა, როგორ შეიძლება, ურნალისტიკა დაკარგოს სახე. მთელმა ქვეყანამ ნახა, როგორ შეიძლება, საკუთარ კოლეგას უსირცხვილოდ ჩახედო თვალებში, მუხლის ძარღვი არ აგიტოკდეს და „რუსი“ ეძახო!

● ძნელია. ჩემთვის ორმაგად ძნელია ამის თქმა, რადგან საქართველოს ურნალისტიკა ფედერაციის თავმჯდომარის სტატუსი მეტ სიფრთხილესაც მავალდებულებს მსგავს შემთხვევებში და გაცილებით მეტ პასუხისმგებლობასაც ვგრძნობ ამგვარი შეფასებისას, მაგრამ...

მაგრამ, სათქმელი უნდა ითქვას! ურნალისტიკა უზრდელობისა და სიმბურის უფლებას არავის აძლევს! ურნალისტიკა ისტერიკისა და „საღდაფონური“ სისხისტის უფლებას არავის აძლევს!

ურნალისტიკა არ არის თავხედობა! პროკურორის ფუნქციის შეთავსებას ტყუილად ცდილობდა ერთ-ერთი მათგანი. უფრო კი - შაშურკინის ჯალათს მოგაგონებდათ, თუ კარგად დაუკვირდებოდით მის თავხედობასა და საუბრის ტონს.

მაუზერი რომ ჰქონოდა თან, ერთი წამით აღარ მეპარება ეჭვი - სისხლის გუბეებსაც დააყენებდა!

არ ვაჭარბებ! მათ კი ნამდვილად გადააჭარბეს! გადააჭარბეს უზნეობაში, უტიფრობაში, უზრდელობაში.

არადა, მათი ასაკი არ მადლევს იმის უფლებას, ვითქვოდ, ლომიას, ან შაშკინის განათლების მინისტრობისას მიიღეს საუნივერსიტეტო განათლება-მეთქი.

ალბათ, მუნებითაც უნდა დაგყვას ადამიანების სიყვარული, თორემ მართო ლექციებზე ჯდომა რას მოგცემს?!

● მართლა გულწრფელად ვნუხვარ. უფრო იმას ვნუხვარ, რომ ერთ-ერთი მათგანი სტუდენტობიდანვე კითხულობს ლექციებს.

მისი სტუდენტები, ვეჭვობ, ნამდვილ ურნალისტიკად ჩამოყალიბდნენ.

ჯალათებად და დამნაშავე მერაბიშვილის, თაღლითი კემერაშვილისა და სულაძაღლებული აკერმანის იდეურ მემკვიდრეებად კი - თავისუფლად.

ჩემო იმანო, თუ შეგიქვს საქციელი შენმა სტუდენტებმა, არ დაუჯერო.

ურთიერთობის და ნიშნების გაფუჭების შიში რას არ გაგაკეთებინებს?!

უბრალოდ, არ დაუჯერო.

არ დაუჯერო, რადგან, არ შეიძლება, ყველა სტუდენტს მოსწონებოდა თქვენი სადიმბი.

არ შეიძლება, ყველა სტუდენტი ასეთივე სიძულვილით ცდილობდეს თავის დამკვიდრებას პროფესიაში...

ურნალისტიკა სიძულვილს არ ნიშნავს, ჩემო იმანო.

ურნალისტიკა ობიექტურობას, საღ ამროვნებას, მშვიდ მსჯელობასა და ანალიზს, სამშობლოს მოფრთხილებას, სახელმწიფოებრივ ამროვნებას და ადამიანების სიყვარულს ნიშნავს, უპირველეს ყოვლისა.

● ძვირფასო მკითხველო! ვნუხვარ და ალბათ, თქვენც დამეთანხმებით - საუბედუროდ, მათი შეცვლა შეუძლებელია. უფრო სამწუხაროდ კი, - ისინი საკუთარი ნება-სურვილით გაემიჯნენ საკუთარ პროფესიას და მედია-ჯალათებად უფრო იქცნენ, ვიდრე „კრიტიკული“ ტელევიზიის წარმომადგენლებად.

საკუთარ კოლეგებზე დაბოღმით და გაბოროტებულ ადამიანებად იქცნენ და ესაა

ეს ის არის, გერმანელებმა ტყვედ რომ ჩაიგდეს და გარკვეული დროის შემდეგ, მათივე სწორუპოვარ ჯალათად რომ იქცა.



სამწუხარო სიმართლე! ელისტრახო და მისნაირი „ტრახოები“ სხვას კი არაუფერს აკეთებდნენ?! „იმანოების“ შემხედვარე, ალბათ, ტანკა პულემიოტჩიკა, იგივე ანტონინა გინზბურგი(მაკაროვა) საულაფში ტრიალებს...

მხოლოდ პირველად რომ გაუჭირდა კაცის მოკვლა და გერმანელებმა პირველი დახვრეტის დროს, სითამამისთვის, არაყი რომ დააღვეინეს. და რომელსაც მერე სასმელი აღარ დასჭირვებია.

მართალია, არც მისი ცხოვრების ფინალი მოხიბლავთ „იმანოებს“ და პირდაპირი გაგებით არც ტყვიამფრევევი ჯერია რომელიმე მათგანს პრემიერთან შეხვედრისას, მაგრამ სიტყვითა და ტყვეით ჩადენილი საღიზმი რითი განსხვავდება?!

● ერთიკაა: ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე გეტყვით - მე თამამად შემოძლია ამ სიტყვების თქმა, რადგან „ნაციონალთა“ ლიდერებიც და მათთან მიტმასნილი პოლიტიკოსებიც კი ვერ დაასახელებენ ვერც ერთ(!) მაგალითს, როდესაც მე, მათთან იდეურად და პროფესიულად დაპირისპირებულ ურნალისტსაც (ხშირად - ოპონენტად ქცეულსაც) კი, ჩემი თავისთვის ამდენის უფლება მიმეცა!

● ირაკლი კობახიძის სიმშვიდე და ღირსეული პასუხები კი ნამდვილად მისასალმებელია.

კარგი გაძლება ჰქონია ნამდვილად და ღმერთმა ხელი მოუშარტოს საქვეყნო საქმეშიც და ასეულ სვავებთან და გიენებთან ოპონირებაშიც!

P.S. ირაკლი კობახიძემ ახალგაზრდებისადმი მიწერილ წერილში ილიას მკვლეელი, 29 წლის გივია მერბიჭაშვილიც ახსენა. არადა, რაღა შორს მივდივით... ოდნავ მოზერებელი „მერბიჭაშვილები“ ქართულ ურნალისტიკაშიც გვეყოლია და ვერ ვამჩნევდით... ან, თუნდაც, ერთ მომენტს დაკვირვებოდათ, ნეტავ, ძვირფასო მკითხველო...

„გიორგი სააკაძეში“ შადიმანი უღვაშზე რომ ხელს გადაისვამს, ალი-კვალი იმას არ ჰგავდა ერთ-ერთი იმანო ერთ კადრში? ვაი, რომ ჰგავდა. ბევრი რამით ჰგავდა... ■

ქალი უბოვნავს ქალილისა!



26 მარტი ახალი ათვლის წერტილია ქართულ ფეხბურთში. ამ წარმატებისაკენ გეგმავთქონდა მდიდარი ჩვენი ფეხბურთი, ვიდრე ამ გამარჯვებისაკენ მიზნულ გზაზე ვისაუბრებ, ვიდრე ამ წარმატების კონკრეტულ გზაზე ვისაუბრებ, მინდა შორიდან დავინყო. ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთი სარეკლამო რგოლი ასეთი განცხადებით იწყება: ვიდრე თასს დაეუფლები, ჯერ ამ ტურნირზე უნდა მოხვდე...

1990 წლის 15 თებერვალს, როდესაც ჯადრაკის სასახლეში, სრულიად საქართველოს საფეხბურთო ყრილობაზე ქართული ფეხბურთის დამოუკიდებელი ფედერაცია დაფუძნდა, მაშინ ჩაფუძრულ საფუძველი 26 მარტის გამარჯვებას, რომელიც, ჩემი აზრით, სულაც არ არის ჩვენი ფეხბურთის ჯერი...

1990 წლის 15 თებერვალს ყრილობის შემდეგ სახლეში დაბრუნებულს სიხარულთან ერთად რაღაც მანუხებდა. რომ გავაცნობიერე, წუხილის მიზეზი იყო ჩემთვის პატივსაცემი ქართული ფეხბურთის ბერძენის, ბორია პაიჭაძის პესიმიზმი. ბატონ ბორის არ ეჯერა, რომ ქართული ფეხბურთი დამოუკიდებლად შეძლებდა არსებობას და მით უმეტეს, წარმატების მიღწევას. სწორედ 15 თებერვლის ღამეს დავედო ფიცი – ბატონ ბორის მე უნდა ვახარო-მეთქი ჩვენი ფეხბურთის წარმატება, ხოლო 26 მარტი ეს ფიცი ავესრულე, და მიველოცე ბორია პაიჭაძეს. მინდა ეს წარმატება მათაც მიველოცო, ვინც დამოუკიდებლობის წინააღმდეგ იბრძოდნენ. და ყრილობის გაუქმებას ითხოვდნენ. რას იბამ, არ იყოლენ, რას აკეთებდნენ.

მინდა მიველოცო იმ გულანთებულ პატრიოტებს, ვინც დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ, მინდა განსაკუთრებით მიველოცო ჩემს დიდ მეგობარს და თანამებრძოლს ალექსანდრე უფინტს. მისი ცხოვრების მიზანი იყო საქართველოს და ჩვენი ფეხბურთის დამოუკიდებლობა. მინდა ასევე ეს გამარჯვება მიველოცო ფეხბურთის ფედერაციის პირველ პრეზიდენტს ნოდარ ახალკაცს. მართალია, სამწუხაროდ ჩვენი ფეხბურთის ვეტერანები დამოუკიდებლობის მომხრენი არ იყვნენ, მაგრამ ჩვენი მტკიცე რწმენა, რომ ქართულ ფეხბურთს შეეძლო დამოუკიდებლად ებრძოლა გამარჯვებისათვის, პირველი რიგში, სწორედ ჩვენი ვეტერანების მიღწეულ წარმატებებს ეფუძნებოდა. საამაყო, როცა ერს ჰყავს ბორის პაიჭაძე, მასა ლოლმერძე, 64 წლის თბილისის „დინამო“ – რომანტიული ფეხბურთის მებრძოლი არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ ევროპაშიც.

მინდა მიველოცო ლანჩხუთის „გურას“ ფეხბურთელებს: გოჩა ტყეშელაშვილს, მერაბ თევზაძეს, დავით ცომაიას, ბესიკ ფრინდონაშვილს, დავით უგრელოძეს, მამუკა აბუსერიძეს, ნუგზარ მიქაბერიძეს, მერაბ კაციტაძეს, ლევან ბარათაშვილს, თემურ კახიასაშვილს და ზაზა ბაკურაძეს. ამ მიჯნაზე გადამწყვეტ მომენტში თვეს უარი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მონაწილეობაზე და ეროვნულ ჩემპიონატს დაუჭირეს მხარი. ეს მაშინ, როდესაც ამ მიჯნაზე წინა წელს საბჭოთა კავშირის პირველობის უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვეს და 1990 წელს უმაღლეს ლიგაში უნდა ეთამაშათ.

იმისათვის, რომ სათანადოდ დავაფასოთ ეს გამარჯვება, გავიხსენოთ: „კარლ ცეისმა“ ფინალამდე სამი ევროპული გრანდი გამოთიბა გაათამაშებდნენ: „ბენეფიკა“, „ვალენსია“ და „რომა“. სამართლიანად ვამაყობდი ქართველები, რომ საბჭოთა ნაკრებში მუდმივად თამაშობდნენ ქართველი ფეხბურთელები და ხანდახან ნახევარი გუნდი ქართველები იყვნენ.

აღსანიშნავია, რომ 1960 წელს საბჭოთა კავშირის ნაკრების ევროპის ჩემპიონატში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ქართველებმა: სლავა მეტრეველმა გაათამაშა ანგარიში ევროსლავისთან ფინალურ მატჩში, ვიქტორ პონეღელნიკმა კი გადამწყვეტი გოლი მიხილ მესხის გადაცემის შედეგად გაიტანა. განსაკუთრებით ვამაყობდი ქართველები, როდესაც 65 წელს მსოფლიო პრიველობის შესარჩევ ჯგუფში საბჭოთა კავშირის ნაკრებმა 6:0 დაამარცხა დანიის ნაკრები და ექსპოდან ოთხი გოლი ქართველებმა გაიტანეს. ორი ვლადიმერ მარქაიამ და თითო მიხილ მესხმა და სლავა მეტრეველმა... ასეთი იყო ჩვენი პროფესიონალების მონაგარი საბჭოთა თუ ევროპულ სარბივებზე.

მე პირადად, როდესაც ჩვენი ფეხბურთის დამოუკიდებლობაზე ვფიქრობდი, ოპტიმისტურად ისიც განმანათობდა, რომ იმ პერიოდის საქართველოში იყო არნახული სიყვარული

და დამოუკიდებლად არ გავვიჭირებოდა წარმატებით თამაში.

1964 წელს გლდანის სპორტულ ინტერნატში ვთამაშობდი. მახსოვს, როგორი სიხარულით ვიღვიძებდი, რომ ვიცოდი ბრწყინვალე ფეხბურთი უნდა მენახა უფროსკლასელების – 1945-46 წელს დაბადებულების შესრულებით. იმდენად მაღალი იყო ამ მატჩების დონე, რომ ჩემი საფეხბურთო გემოვნებას კი ჩამომიყალიბა. შემდეგ ამ მიჯნაზე ოსტატთა გუნდებში ითამაშეს. ესენი იყვნენ: მერაბ ასიტაშვილი, თემურ გრძელიძე, დავით კვიციანი, კვიციანი არჩვაძე, მალხაზ კობიაშვილი, ალბერტ ბაჩუკაშვილი, ლურჯინაშვილი, ჯონდო ძაბუკაშვილი და სხვები. არანაკლებ გამომართლა იმამიძე, რომ იმ პერიოდში დიდი მასივში ვცხოვრობდი და მდინერი ვარ იმით, რომ გოგი ახალკაციშვილის თამაშს მოვყვანარი. გავიკვირდებო, მაგრამ მაინც ვიტყვი, გოგი ახალკაციშვილის თამაში რომ მახსენდებო, არ მიკვირს არც პელე, არც მარადონა და არც მესი. ასეთია ჩემს წარმოდგენაში ჩვენი ფეხბურთის საამაყო წარსული.

რაც შეეხება 26 მარტს, მთლიანად საქართველოს ზემს, ეს გამარჯვება შემთხვევით არ მოსულა. ამ გამარჯვებისკენ ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ მივდიოდით და საქმეში ჩახედულ კაცს მაინც და მაინც არ უნდა გაკვირვებოდა. უბრალო მაგალითს მოვიყვან: ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონმა იტალიის ნაკრებმა შესარჩევ ჯგუფში შინ ვერ დაამარცხა ბულგარეთის ნაკრები და. ფრედ 1:1 ითამაშა, რაც ძვირად დაუჯდა, შვეიცარიამ გაასწრო და



ჩაბტიმისტურად ქართულად, ჩაბტიმისტურად!

საქართველო ევროპაზე

#მეზარსაქართველო

მინდა დამსახურებული მაღლიერება გამოვხატო დამოუკიდებელი ეროვნული ნაკრების პირველი თაობის მიმართ, რომელმაც ევროპისკენ გაჭრა ფანჯარა – ცხადია, შეღია, ქვეყანა, ქინქლაძე, ჯამარაული, ნემსაძე, ძმები არველაძეები, დევაძე... არადა, გემახსოვრებათ, რომ 90-იან წლებში დიდი ბაზაზე შპრიცებს პოულობდნენ.

და ბოლოს: განსაკუთრებულ ქებას იმსახურებს ფეხბურთის ფედერაციის მოქმედი ხელმძღვანელობა (ლევან კობიაშვილი, კახა ჯემურიძე, ალექსანდრე იაშვილი), რომელიც აქცენტს ფუნდამენტის ჩაყრის ტოლფას ბავშვთა ფეხბურთის განვითარებაზე აკეთებს. არანაკლებ დასაფასებელია მათ მიერ კრისტალზე ეროვნული ლიგის გუნდებში ფულის ჩადება და ინფრასტრუქტურის არნახული აღმშენებლობა, საშვილიშვილო მოღვაწეობის გვირგვინს კი აკადემიების სიმრავლე წარმოადგენს.

64 წლიდან 81 წლის ევროპის თასების მფლობელობა თასამდე იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის საპრიზო ადგილები, ორჯერ საბჭოთა კავშირის თასი და 78 წელს კიდევ ერთი ჩემპიონობა. უელმინაყია, 81 წლის თასების თასი, როდესაც ფინალში 2:1 დაგამარცხეთ აღმოსავლეთ გერმანიის იენის „კარლ ცეისი“,

ფეხბურთისადმი და სამოყვარულო ფეხბურთის ისეთი მაღალი დონე, რომ მოყვარულები მართალია, მინი-ფეხბურთში, მაგრამ ხანდახან „დინამოსაც“ კი ამარცხებდნენ. ერთ ასეთ მატჩში მეც მივიღე მონაწილეობა. 1976 წელს დიდი მასივში ჩვენი უბნის გუნდი „დინამოს“ ვეთამაშეთ და ანგარიშით 6:5 დაგამარცხეთ. ამ მატჩში მე ოთხი გოლი გავიტანე. მართალია, იმ პერიოდში მე უკვე მოყვარული ვიყავი, თუმცა 67-68 წლებში საქართველოს და საბჭოთა კავშირის იუნიორთა ნაკრებში ვთამაშობდი. ფეხბურთის არნახული სიყვარული ვახსენე საქართველოში და, ხანდახან მეც არ მეჯერებდა, რომ ვიყავი იმ ატმოსფეროში. მახსენდება, ეს 1965 წელს მოხდა. დიდი ლილოს სკოლის გუნდმა სამგორის რაიონის პირველობაზე კოჭორის სკოლის გუნდი დაგამარცხეთ. ეს თამაში ორხევი გაიმართა. თამაშის შემდეგ გუნდი სატვირთო მანქანის ძარაზე დაგვაციენეს და ასე საზემოდ ვიარეთ ორხევიდან დიდ ლილომდე. აღსანიშნავია, რომ გულმემატკვრების დაახლოებით ასაკიანი ჯგუფი ანთემული ჩირაბდნენით მოგვედგა. იმ პერიოდის ჩემი ცხოვრებიდან მესხიერებაში შემომჩაო ორი საფეხბურთო მოვლენა, რომელიც მიმავრებდა აზრს, რომ საქართველო საფეხბურთო ქვეყანა იყო

იტალია პლეი-ოფში აღმოჩნდა. პლეი-ოფის მატჩი ისევ შინ ითამაშა იტალიამ და 0:1 ნაავო ჩრდილოეთ მაკედონიისთან, რითაც დავმშვიდობა ევროპის ჩემპიონატს. წარმომიდგენია როგორი გაკვირვებული იყო იტალიელი ქომაგი, რომელმაც ნახა ბულგარეთთან 5:2 რომ მოვიგეთ და ასევე მათი გამამწარებელი ჩრდილოეთ მაკედონია 3:0 დაგამარცხეთ.

ფეხბურთის მოყვარულს მხედველობიდან არ გამოარჩებოდა, რომ „ნაპოლიში“ მთამაშე ხეჩა კვარაცხელია იტალიის სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, „ვალენსიაში“ მთამაშე გიორგი მამარდაშვილი მსოფლიოს საუკეთესო მეკარეთა ათეულშია, იტალიის სერია – ა-ში თამაშობენ საბა საზოროვი, გიორგი კვერნაძე და საბა გოგლიჩიძე, ზურიკო დავითაშვილი და გიორგი მიქაუტაძე საფრანგეთში ბრწყინდენ. მუღუ ზივზივაძე გერმანიაში თამაშობს, გიორგი ჩაკვეტაძე – ინგლისში, ოთარ კიტეიშვილი – ავსტრიაში... პირველი სერიაში ვახსენებ, რომ ევროპის საფეხბურთო ელიტაში შევამიჯეთ, იყო ახალგაზრდული ნაკრებების ევროპის ჩემპიონატი, სადაც საქართველოს ნაკრებმა ფანტასტიკური შედეგი აჩვენა. უძლიერეს ჯგუფში, სადაც მსოფლიო რეიტინგის ათეულის წარმომადგენლები იყვნენ – პორტუგალია, ნიდერლანდები და ბელგია, ჩვენმა ნაკრებმა პირველი ადგილი დაიკავა. ანგარიშით 2:0 დაგამარცხეთ პორტუგალია, ფრედ 2:2 და 1:1 ვეთამაშეთ ბელგიას და ნიდერლანდებს. ამ ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ჩვენ დიდი ფუფუნების უფლება მივეცით თავს და ხეჩა კვარაცხელია და გიორგი მიქაუტაძე ვერ გამოვიყენეთ, რაც ჩემი აზრით, დიდი შეცდომა იყო. იმ მიჯნაზე ჩვენ ისრაელს დაგამარცხებდით და ნახევარფინალში გასვლით ოლიმპიურ თამაშებზეც გავინაღდებდით მონაწილეობას და თანატოლთა ახალგაზრდულ პირველობაზეც ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებდით.

გავახსენებთ, რომ მათეში გამართულ ჩემპიონატის ფინალში ინგლისმა დაამარცხა ესპანეთი და ევროპის ჩემპიონი გახდა. აქვე ისიც გავიხსენოთ, რომ სულ რაღაც ორიოდე თვის წინ ვარსკვლავების გარეშე ვეთამაშეთ ინგლისის ნაკრებს და 3:2 დაგამარცხეთ. მოკლედ, დამნახვი დანახავდა, რომ ქართულ ფეხბურთში პროგრესია და არ გაუკვირდებოდა ჩვენი ევროპაზე გასვლა. ჩვენი ფეხბურთი ახალ ეტაპზე – წინ გველოდება ევროპის ჯგუფური ეტაპის შესვლად, სადაც ახალი სერიოზული გამოცდის წინაშე ვდგავართ.

ჯგუფში გვყავს მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი ლიდერი პორტუგალია, ამიყიური თურქეთი და საშუალო ევროპული დონის სტამბილური მებრძოლი ჩეხეთი. როგორც ჩანს, ვილი სანიოლი აპირებს დაეყრდნოს იმ შემადგენლობას, რომლითაც

ბოლო ორი თამაში ჩავატარეთ. ალბათ ყველა ვთანხმდებით, რომ მეკარეებში ყველაფერი გარკვეულია: მამარდაშვილი, ლორია, გუგუშვილი, კუპატაძე. მე გმირობდა ჩავთვალე ჩვენი ვეტერანების თამაში, კამიამ და კვირკველიამ კარგად ითამაშეს, მაგრამ ისმის კითხვა, ეყოფათ მათ ძალა ჯგუფურ ეტაპზე ზედიზედ სამ თამაშზე? მეფერი კითხვებია ოთარ კაკაბაძესთან. ეს ფეხბურთელი გაცილებით პროდუქტიულია, როცა შეტევაში ერთვება, მაშინ, როცა დაცვაში შეცდომების აქვს. ცუდად არ გამოიყურება ჩვენი დაცვის ფლანგები: აზაროვი, გორილიშვილი, შენგელია, მამუკაშვილი. დავამატებდი ნიკაიშვილს – უნივერსალს, რომელიც გინდ დაცვაში გამოიყენე, გინდ ნახევარდაცვაში. მისი ბრწყინვალე დრიბლინგი საბერძნეთის ნაკრებთან ჩვენი ფეხბურთისთვის საეგიტო ბარათადაც კი გამოდგება. დაცვაში ასევე მოიაზრებინა ხოჭოლავა, საზონოვი, ლორიშვილი, გველსიანი, დგალი... გამოკვეთილი ჩანს ნახევარდაცვა, სადაც აღმოჩენა ქოჩორაშვილი.

სასიხარულოა, რომ ჩვეულ კონდიციებში შედის ჩაკვეტაძე, კარგად გაართვა თავი ფუნქციას კიტეიშვილმა, საიმედოა კვეციკვირი, დავითაშვილისგან ყოველთვის უნდა ელოდე რაღაც მოულოდნელს, რომელიც შეიძლება თამაშის ბედს კი გადაწყვიტოს. გაეხსენოთ მისი ბრწყინვალე გოლი ნიდერლანდების ნაკრების კარში. ნახევარდაცვაში კიდევ შეიძლება გაეხსენოთ რამდენიმე კარგი ფეხბურთელი, რომელთა შორის მე ლუკა გავნიძეს გამოვყოფდი... თავდასხმაში ჩვენი უპრობო ლიდერია ხვიჩა კვარაცხელია, მეორე გამოკვეთილი თავდასხმელი კი მაიქაქაძეა. ზიგზივად ამ ბოლო დროს ამკარად მოუმატა, კლუბშიც და ნაკრებშიც გოლებიც გააქვს, მაგრამ ამ ამპლუისთვის მეტი მანევრირება საჭიროა. მიქაქაძეს მანევრირება არ აკლია, „მეც“ გოლედასავე არის, მაგრამ ერთი თავდასხმელით როცა ვთამაშობთ, ამკარად დაკარგული ხოლომე. მანევრირების პრობლემა აქვს ქვილითაისაც. ლომუანიძეს სირბილს ვერ დაუწუნებთ, მაგრამ ხშირია ტექნიკური წუნი. გაფართოებულ სიაში უნდა მოვიზომოთ: კვერცხი, გოგლიძე, გელაშვილი, სიგუა, ყაზაიშვილი, კანკავა, ალათუნაშვილი და სხვები.

არ შემიძლია არ შევეხო ვიორგი არაბიძის თამაშს, რომელიც, როგორც ვიცო, მთლიანად საქართველოს მოთხოვნა დააბრუნონ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში. არაბიძე ნიჭიერი, გამორჩეული ფეხბურთელია და ტალანტით ურთიერთობა უნდა ვისწავლოთ. გაეხსენოთ – არგენტინის ნაკრების მწვრთნელმა კარლოს ბილარდომ მარადონას ჯუჯის სწავლება კი არ დაუწყო და მსოფრმში სიარული კი არ ასწავლა, თანამშრომლობა შესთავაზა და უთხრა: ჩვენ ერთობლივი ძალისხმევით არგენტინა მსოფლიო ჩემპიონი უნდა გახდეთ. მარადონამ ისე აიტაცა ეს იდეა, ფეხბურთელებს აღვიძებდა დილის ვარჯიშზე გამოსასვლელად! საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა თემურ ლორთქიფანიძემ მოთხრა: არაბიძე ჩვენი, მწვრთნელების მარჯვენა ხელია, ყველას გვახსოვს ვიორგის დადგმული სპეცტაკლები დონეცკში, სადაც მას სულაც ქართველი მესი შეარქვევს. მესხიერებიდან არ ამომდის ვიორგის შესანიშნავი თამაშები ახალგაზრდულ ნაკრებში, ეროვნულ ნაკრებშიც კარგი დებიუტი ჰქონდა, გოლებიც გაიტანა, მაგრამ მის ცხოვრებაში ერთმანეთს გადაება უიღბლობის ჯაჭვი, ტრავმები, ოპერაცია... დამთავრდა ის ჯაჭვი, ვიორგი ბრწყინვალედ თამაშობს ქუთაისის „ტორპედოში“ და გოლებიც გააქვს, რომელთაც ანალოგი არა აქვს; მაშ, რაშია საქმე, რატომ არ ეძახის ნაკრებში სანიოლი? ვიორგის მან ინტენსივობა დაუნუნა. დაუძახე აშხანაგურ თამაშში, თუ დარწმუნდები, რომ დავალებას ვერ ასრულებს, მიიღე მაშინ გადაწყვეტილება. სხვათა შორის, ვიორგიზე როცა ილაპარაკა, განაცხადა: მსოფლიო ფეხბურთში ერთადერთი მესია დაბალი ინტენსივობით, რომელიც სასარგებლოა. ამა დაფიქრდით, რის ხარჯზეა წარმატებული დაბალი ინტენსივობის მესი? იქნებ თამაშის ხარისხია, რომლითაც ახდენს დაბალი ინტენსივობის კომპენსირებას? დიახ, სათამაშო ხარისხია მესის კობრი. არავინ დამბარალოს ტოლობის ნიშანს სვამს მესის და ვიორგი არაბიძეს შორის, მაგრამ მაინც ვიტყვი: ვიორგი ხარისხიან ფეხბურთის თამაშობს და მის მიერ გატანილი გოლები ქრესტომათიულია. ვიორგი არაბიძე ნამდვილად იმსახურებს ნაკრებში დაბრუნებას. ამა წარმოვიდგინოთ – მარცხნიდან ხვიჩა კვარაცხელია, მარჯვნიდან ვიორგი არაბიძე, როგორი თავისტიკილი იქნება მონინალმდევე გუნდისთვის, და ბოლოს, რეზიუმე.

საქართველოს ნაკრების ეს შემადგენლობა ჩვენი ფეხბურთის ანგეზია. ამ მიჯნაში დიდ საქმე გააკეთეს ევროპის ჩემპიონატზე გასვლით და იქ ვეცდებით წარმატების მიღწევას. მსოფლიო ფეხბურთი უმაღლეს მწვერვალზეა; ძნელია არამსოფლიო გამარჯვება, არამედ ფეხბურთში ყოფნა. ძნელია, მაგრამ ოპტიმისტურად ვუყურებ მომავალს. ჩვენითვის ეს მსოფლიო დასაწყისია. გამახარა პრემიერ-მინისტრის განცხადებამ ახალი დიდი სტადიონის მშენებლობის შესახებ და ფონდ „ქართუს“ ინიციატივამ ჩვენი ნაკრების ფეხბურთელებისთვის წამახალისებელი პრემიების დანსხების თაობაზე. მახსენდება ერთი იტალიელი ჟურნალისტი, 2010 წლის მსოფლიო პირველობაზე მარჩელო ლიპის რომ აკრიტიკებდა, გამარჯვება თუ გინდა ნაკრებში უნდა გყავდეს საფეხბურთო თავდასავლების მაძიებელი ისეთი ფეხბურთელები, რომელთა გამოკვეთის უნით შეპყრობილი თვალელებიდან ნაპერწკლებს ყრანაო. ასეთი იყო ნიდერლანდების 74 წლის ნაკრები, არგენტინის 78 წლის ნაკრები და კიდევ მეორე მაგალითის მოყვანა შეიძლება. ჩვენი ფეხბურთის მომავალი მე მხიარულ ფერებში მესახება, როდესაც მოხდება თაობათა ცვლა და ნაკრებში დაახლოებით ერთი თაობის მიჯნა თაობის, როდესაც ნაკრებს არ ექნება არც მოძრაობის, არც ბურთის ფლობის და არც საფეხბურთო ინტელექტის პრობლემა. პირობითად ლუკა პარკაიძის და ვახტანგ სალიას თაობა რომ შეუერთდება ნაკრებს, იქნებ ჩემი დიდი ოცნება ავისრულდეს: მე ხომ საქართველოს ნაკრები არც მეტი, არც ნაკლები მსოფლიო ჩემპიონი მინდა.

ზურაბ პატრიკაშვილი
2024 წლის 24 აპრილი

© სულიერება

**„გული გონიერი“
თამარობის დღესასწაული**

14 მაისს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს თამარობას. სრულიად საქართველოს პატრიარქი ილია II ბრძანებს: „თამარ მეფე ქართველი ერის მესხიერებაში ღვთისმომად და მოწყალე მეფედაა აღბეჭდილი“. თამარის „გული გონიერი“ დღეს, მართლაც, აგრევივად გვენატრება, გვეჩვენება ქართველ ერს. ...1184 წელს, ვიორგი მეფის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს ერთადერთ მმრძანებლად და პატრონად 18 წლის თამარი გახდა. დიანყო დიდი აღმშენებლობა. თამარმა უამრავი ომი მოიგო, XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე საქართველო ევროპისა და აზიის გა-

საყარზე ძლიერი და ანგარიშგასანევი სახელმწიფო იყო.

თამარის დროს აშენდა კლდეში ნაკვეთი ქალაქი ვარძია, ფიტარეთი, ქვაბთახევი, ბეთანია. წმინდა მეფემ არა მხოლოდ საქართველოს ეკლესია-მონასტრები გაამდიდრა, არამედ უხვად შეამკო ლავრები და საგანევი პალესტინაში, კვიპროსზე სინას მთაზე, შავ მთაზე...

P. S. ხვალ, 14 მაისს აკაკოშვიტა (ათონელი), მინდა ჩემს უსაყვარლეს უმცროს ძმისწულს აკაკის მიველოცო წმინდა აკაკის ხსენების დღე, ჩემს დისწულს თამარს კი – თამარობა.

გიული ლიპარტია



„კომიტასის ვიზიტი თუბანიანთან“



ჰოვანეს თუბანიანის სამეცნიერო-კულტურულ სახლში მაის მხითარაიანის გამოფენა – „კომიტასის ვიზიტი თუბანიანთან“ გაიხსნა.

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაციით, გამოფენა გამოჩენილი სომეხი მწერლის ჰოვანეს თუბანიანის დაბადებიდან 155 წლის იუბილეს მიეძღვნა.

„ჰოვანეს თუბანიანი მრავალმხრივი შემოქმედი გახლდათ – წერდა ლექსებს, პოემებსა და მოთხრობებს. მისი მოთხრობები ცნობილია, როგორც სომხური პროზის საუკეთესო ნიმუშები. ასევე, ფართო საზოგადოებისთვის ცნობილია სომხური და აღმოსავლური ლეგენდების სიუჟეტზე შექმნილი მისი პოემები და ზღაპრები („ერთი წვეთი თაფლი“, 1909 წ.; „გულადი ნაზარა“, გამოქვეყნდა 1912 წ. და სხვ.). აღსანიშნავია, რომ ჰოვანეს თუბანიანი ქართველი და სომეხი ხალხების ძმობა-მეგობრობის თავდადებულ დამცველად გამოდიოდა და ამ თემაზე მან არაერთი ლექსი დაწერა.

მაის მხითარაიანი 2008 წლიდან თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სახელმწიფო სომხური დრამატული თეატრის მთავარი მხატვარია.

იგი დაიბადა 1962 წლის 4 ოქტომბერს თბილისში. 1983-1987 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში. ხელოვანი 1983 წლიდან მსოფლიოს მასშტაბით მონაწილეობს სხვადასხვა გამოფენაში.

აღსანიშნავია, რომ მაის მხითარაიანის შესახებ გადაღებული რამდენიმე დოკუმენტური ფილმი და მხატვრული ფილმი – „ავტობიოგრაფი“ (რეჟ. რუბენ ქორაი, 2018 წელი).

2000 წლიდან არის სომხეთის მხატვართა კავშირის წევრი; 2003 წლიდან UNESCO-ს საერთაშორისო ასოციაციის წევრი. გამოფენა ერთი კვირის მანძილზე გაგრძელდება.

**ქართული მოსწავლეები
საერთაშორისო გამოფენაზე**

ქართულ-ამერიკული და ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის მოსწავლეები ლოს-ანჯელესში, კალიფორნიაში მეცნიერებისა და ინჟინერიის საერთაშორისო გამოფენაზე გაემგზავრნენ.

11-17 მაისს მეცნიერებისა და ინჟინერიის საერთაშორისო გამოფენა იმართება, სადაც GAS&GAHS სკოლები უკვე მეთერთმეტეჯერ წარადგინეს პროექტებს სხვადასხვა სამეცნიერო კატეგორიებიდან:

Technology Enhances The Arts: არილ ბრაია, მისტანგ გოშია, ანი გოშია Mathematics: სანდრო ნაზლაძე, ნიკოლოზ ყლორშილი, გიორგი გოშაძე, Chemistry: იაკობ საფარაშვილი, ნიკოლოზ აბაშიძე, მარიამ ბუხაძე.

GEUS Regeneron ISEF ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და პრესტიჟული სამეცნიერო გამოფენაა, რომელიც ყოველწლიურად ამერიკის შეერთებულ შტატებში იმართება. მასში მსოფლიოს 75 ქვეყნიდან 2000-მდე მოსწავლე მონაწილეობს, რაც მათ უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს, პრობლემებისა და ინოვაციური იდეებისთვის მსოფლიო აღიარება მოიპოვონ.



განცხადება

2024 წლის 4 აპრილს დაფუძნდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „აკაკის ფონდი“, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს აკაკი წერეთლის მემკვიდრეობის შესწავლა-გამოცემა, მისი სახელის უკვდავყოფას; ხელი შეუწყოს აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის გამართულ ფუნქციონირებას, მათ შორის მუზეუმის სოფელ სხვიტორსა და სოფელ საგანეში მდებარე და სოფელ სხვიტორში დედისეული შენობა - ნაგებობების მოვლა-პატრონობას, სხვა საქველმოქმედო საქმიანობებს კულტურისა და სოციალურ სფეროში.

„აკაკის ფონდი“ მოგიწოდებთ, გახდეთ მისი წევრი, რისთვისაც საჭიროა განცხადება და თქვენი შესაძლებლობის შესაბამისი დახმარება.

სურვილის შემთხვევაში შეგიძლიათ მოგმართოთ მისამართზე: ქალაქი სახნევე, დაჯეთ აღმაშენებლის ქ N24 „აკაკის ფონდი“, ლიბერთი ბანკი LBRTGE22 ანგარიშის ნომერი: **GE06LB115156406570000**, ს/კ 439436177

ტელ: 599 15 91 39, 599 55 25 27

„აკაკის ფონდის“ გამგეობა

დასჯა

ბლოგერ უჩა აბაშიძეს და მის მეუღლეს ალკჰეთის ღონისძიების სახით პატივსაცემი შეფარდათ

საქართველო სასამართლოში გუშინ სხდომა გახსნიდან მალევე დაიხურა მხარეთა შუამდგომლობით, მიზეზი საქმის მასალებში არსებული პერსონალური მონაცემები გახდა. პროცესს ორივე ბრალდებული ესწრებოდა.

წინასასამართლო სხდომა 2 ივლისს ჩაინიშნა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბლოგერი უჩა აბაშიძე 9 მაისს დააკავა. უწყების ინფორმაციით, ის იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შექმნა-შენახვის ბრალდებით არის დაკავებული. ასევე, შსს-მ დააკავა უჩა აბაშიძის მეუღლე მარიამ იაშვილი. როგორც შსს-ს განცხადებითაა ნათქვამი, უჩა აბაშიძემ, მეუღლესთან ერთად, განიზრახა სხვადასხვა პირთა ინტიმური კავშირის ამსახველი მასალების უკანონო მოპოვება და შენახვა.

ამასთან, საქართველოს პროკურატურის ცნობით, პირადი ცხოვრების საიდუმლოს უკანონოდ

მოპოვების და შენახვის ფაქტებზე ბლოგერ უჩა აბაშიძეს და მის მეუღლეს ბრალდება წარედგინათ.

პროკურატურის ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ უ.ა.-მ და მ.ი.-მ, სხვადასხვა პირთა პირადი ცხოვრების საიდუმლოს, კერძოდ სქესობრივი კავშირის ამსახველი ვიდეო-აუდიო ჩანაწერების უკანონოდ მოპოვების მიზნით, მ.ი.-ს კუთვნილ საცხოვრებელ ბინაში ფარულად დაამონტაჟეს ვიდეო-აუდიო ჩამწერი მოწყობილობები, რომელთა საშუალებით მუდმივ რეჟიმში, ფარულად ხდებოდა მ.ი.-ს სხვადასხვა პირებთან ინტიმური კავშირის უკანონო ჩანერა.

„ათეულობით ჩამწერი მოწყობილობა დამონტაჟებული იყო საცხოვრებელი ბინის ოთახებში, მათ შორის, საძინებელში და ფარულად იყო განთავსებული სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო

ტექნიკასა და ნივთებში. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ მ.ი.-ს საკონტაქტო მონაცემები სექსუალური მომსახურების სხვადასხვა ინტერნეტ საიტებზე იყო გამოქვეყნებული, სადაც მისი მხრიდან სექსუალური მომსახურების შეთავაზება ხდებოდა. მას შემდეგ, რაც კონკრეტულ პირთან მიხედვით შეთანხმება და იგი მივიდოდა ზემოხსენებულ ბინაში, ბრალდებულები, აღნიშნული პირისგან მალევე, სპეციალურად დამონტაჟებული მოწყობილობების საშუალებით, სისტემატურად, უკანონოდ იღებდნენ და ინახავდნენ ინტიმური კავშირის ამსახველ აუდიო-ვიდეო ჩანაწერებს“.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში ამ უზენოესი კოლეჯის მიხედვით 7 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება!



საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS REPUBLIKA
ანდრეასის №116 (თბილისი)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის
მოადგილე
მამუკა ვაშაძე
597-22-07-04

შემომდებელით
ჯგუფი:
ალექსანდროვილი
გია ალექსანდროვილი
ოთარ ტუბაშვილი
თეიმურ ძორიძე

სტილისტ-
კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორაბაშვილი,
ოპარატორი
ზორანა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანდრეასის ნომერი
GE90BG000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი
„საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „საქართველოს
რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იზაქიძე სტამბა
„კოლორი“
თ. ზაღალაძის №3

„კოლორი“
ჯგუფი

UAC(უპკ)070.4(479.22)
C-323



ავტორთა
საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ
შეუპყრეთაში მასალაში
დაიბეჭდა
ავტორთა ხარჯით.

გაზეთის
მომღებო
ნომერი
გამოვა
ოთხშაბათს,
15 მაისს

„ქოლგა თბილისი ფოტოს“ კვირეული ხვალ, 14 მაისს, იწყება

14 მაისს, 20:00 საათზე, ფესტივალ „ქოლგა თბილისი ფოტო“ კვირეულის გახსნის ცერემონია გაიმართება.

ორგანიზატორების ინფორმაციით, დასახელებიან 2024 წლის ფოტოკონკურსის გამარჯვებულები შემდეგ კატეგორიებში:

- დეკუმენტური სერია;
- რეპორტაჟი;
- კონცეპტუალური ფოტოპროექტი;

ერთი კადრი;
მოტილური ერთი კადრი.
ჟიურის მიერ შერჩეული საუკეთესო ფოტოპროექტების ნახვა შესაძლებელია ვებგვერდზე: <https://kolga.ge/awards?local=ka>
ფესტივალის მუსიკალური მხარდაჭერა – Bloom Music.
ფოტოკონკურსის გამარჯვებულებს ტრადიციულად საერთაშორისო ჟიური გამოავლენს.



ქარბორბალა ბათუმში

ქლინმა ქარმა ხეობი მოვლიჯა, დაზიანებულია საცხოვრებელი კორპუსი. დაზარადა რამდენიმე ადამიანი. შემთხვევა 26 მაისს ქუჩაზე მოხდა.

ატარის ტელევიზიის ინფორმაციით, მოქალაქეებს სამედიცინო დახმარების განევა არ დასჭირვებიათ.

ადგილზე იმყოფებოდნენ სამაშველო სამსახურის წარმომადგენლები.



ხელსახოცი, რომელმაც მისი კარიერა განსაზღვრა...

აუქციონზე იყიდება ხელსახოცი, რომელზეც დატანილია ესპანეთის საფეხბურთო კლუბ „ბარსელონას“ თანხმობა 13 წლის ლეო მესისადმი, კლუბში მიღებასთან დაკავშირებით. ხელსახოცის ღირებულება, რომლითაც არგენტინელი სუპერვარსკვლავის კარიერა დაიწყო, თავდაპირველი შეფასებებით 300 ათას დოლარს აღწევს.

ხელსახოცს ხელი 2000 წლის დეკემბერში მოეწერა, როდესაც კარლეს რემაქი „ბარსელონას“ იმდროინდელი სპორტული დირექტორი

და საფეხბურთო აგენტი ჰორაციო გახიოლი, კლუბში 13 წლის არგენტინელის მიღებაზე შეთანხმდნენ.

აუქციონის სახელ Bonhams-ის აღწერით, ხელმწიფი ხელსახოცზე ლურჯი მელნითაა შესრულებული. გაყიდვის დანაშაულებიდან მალევე, აუქციონის სახლის ვებგვერდზე, ხელსახოცის შეფასებამ 274,824 დოლარს მიაღწია. ონლაინაუქციონი 17 მაისს დაიხურება, ლოტის ღირებულება კი, სავარაუდოდ, 300,000-დან 500,000 გირვანქა სტერლინგამდე გაიზარდება.

ევროვიზია 2024-ის გამარჯვებული შვეიცარიელი ნემო გახდა

ევროვიზიის სიმღერის კონკურსში შვეიცარიის წარმომადგენელმა Nemo-მ გაიმარჯვა, სიმღერით The Code. მან ჯამში, 591 ქულა მიიღო. შესაბამისად, ევროვიზიის მომავალი მასპინძელი ქვეყანა შვეიცარია იქნება.

საქართველოს ჟიურისგან ყველაზე მაღალი შეფასება – 12 ქულა შვეიცარიას ერგო.

ევროვიზია 2024-ის ფინალში 25 ქვეყანა წარდგა: საქართველო, შვედეთი, უკრაინა, გერმანია, ლუქსემბურგი, ისრაელი, ლიეტუვა, ესპანეთი, ესტონეთი, ირლანდია, ლატვია, საბერძნეთი, დიდი ბრიტანეთი, ნორვეგია, იტალია, სერბეთი, ფინეთი, პორტუგალია, სომხეთი, კვიპროსი, შვეიცარია, სლოვენია, ხორვატია, საფრანგეთი და ავსტრია.

საქართველომ ჟიურის ქულები შემდეგი ქვეყნებიდან მიიღო: 7 ქულა – აზერბაიჯანისგან, 2 ქულა – მალტისგან, 2 ქულა – ისრაელისგან, 1 ქულა – ნორვეგიისგან, 3 ქულა – სომხეთისგან, მაყურებლისგან კი – 19. საერთო ჯამში, 34 ქულით საქართველო 21-ე ადგილზე გავიდა.



საქართველოს რესპუბლიკის
უხსოვარი პალატის ქარტი:
აშუ ფონური - 2.6755; პირი - 2.8837;
ბრიტანული ბიკანსა სტრუქტურა - 3.3527;
100 რუბლი - 2.8914; თურქული ლირა - 0.0829;
აშპრპაიჯანული მანათი - 1.5735;
1000 სომხური დრამი - 6.8978

აპრილი 13 მაისისთვის			
ალკოჰოლითი საქართველო:			
პირი -	ლამ	+7,	ლვ +20
მიონი რაიონი -	ლამ	+4,	ლვ +16
ანსაპალითი საქართველო:			
პირი -	ლამ	+9,	ლვ +17
მიონი რაიონი -	ლამ	+6,	ლვ +13
თბილისი:	ლამ	+11,	ლვ +19

დაგვიკავით, მოგხვარათ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge